

**ვაზი \_ ერთ-ერთი უმთავრესი აგროკულტურა გურჯისტანის ვილაიეთში  
(XVI საუკუნე)**

**დალი ნიკოლაიშვილი<sup>1</sup>, დავით სართანია<sup>2</sup>, ავთანდილ უჯმაჯურიძე<sup>3</sup>, მანანა კვეციანი<sup>4</sup>**

<sup>1</sup>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, გეოგრაფიის დეპარტამენტი

<sup>2</sup>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მუზეუმი

<sup>3</sup>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

<sup>4</sup>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გეოგრაფიის დეპარტამენტი, დოქტორანტურა

გურჯისტანის ვილაიეთი XVI საუკუნეში ოსმალეთის მიერ დაპყრობილი საქართველოს ერთ-ერთ ადმინისტრაციული ერთეული იყო, რომელიც უმთავრესად მოიცავდა მდ. მტკვრის ზემო წელს, აგრეთვე მდ. ოლთისისწყლისა და მისი მარჯვენა აუზის მდინარეების \_ ბარდუსისწყლის, ბანისწყლის აუზების გარკვეულ ნაწილს (სამცხე-ჯავახეთი და ისტორიული საქართველოს ნაწილი: არტანი, კოლა, ოლთისი, ფანაკი, ფოცხოვი, ჩრდილი).

კვლევის მიზანია ვაზის რეტროსპექტიული სურათის წარმოჩენა ოსმალეთის ხელისუფლების მიერ 1595 წელს ფისკალური მიზნით შედგენილი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით. კვლევა დაფუძნებულია აღნიშნული დავთრის სტატისტიკურ ანალიზს, მონაცემთა დახარისხება-კლასიფიკაციას, გის-ის მონაცემთა ბაზისა და თემატურ რუკათა სერიის შექმნას, ვაზის ტერიტორიული განაწილების თავისებურებების გამოვლენას. რეტროსპექტიული სურათის შექმნა შესაძლებელი გახდა დავთარში მოცემული 2 საკვანძო ასპექტის მიხედვით: 1) მონაცემები ვენახების არსებობის შესახებ ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტში; 2) გადასახადის ოდენობა შირაზე (ტკბილი წვენი, უმთავრესად ყურძნის).

დავთრის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ გურჯისტანის ვილაიეთში ვაზი ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული კულტურა იყო, შესაბამისად შეგვიძლია ვიმსჯელოთ აქ მევენახეობა-მეღვინეობის ფართოდ განვითარებაზე, მეორე მხრივ, კი \_ ქრისტიანი მოსახლეობის არსებობაზე (მიუხედავად ოსმალური ბატონობის პერიოდისა). ყველაზე მეტი ვენახი გავრცელებული ყოფილა ახალციხის ლივამი (100-ზე მეტი სავენახე ნაკვეთი), აგრეთვე ჩრდილის და სხვა ლივებში. განსაკუთრებით საინტერესოა ჯავახეთისა და ისტორიული საქართველოს ზოგიერთ ადგილებში ვაზის არსებობა, სადაც ეს აგროკულტურა დღეს საერთოდ აღარ გვხვდება, რაზეც დიდი გავლენა იქონია როგორც ისტორიულმა პროცესებმა, ისე ბუნებრივმა გარემომ.

## Vine - One of the Important agriculture in Gurjistan governorate (XVI c.)

Dali Nikolaishvili<sup>1</sup>, Davit Sartania<sup>2</sup>, Avtandil Ujmajuridze<sup>3</sup>, Manana Kvetenadze<sup>4</sup>

<sup>1</sup>Uvane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Exact and Natural Science, Department of Geography

<sup>2</sup> Uvane Javakhishvili Tbilisi State University, Museum

<sup>3</sup> Uvane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

<sup>4</sup> Uvane Javakhishvili Tbilisi State University, Department of Geography, Doctoral student

Gurjistan governorate was one of the administrative units of Georgia occupied by the Ottoman Empire in the XVI century, which mainly covered the upper reaches of the Mtkvari River and a certain areas of the basins of the Oltisistskali River and some rivers in its right basin: Bardusistskali and Banistskali (Samtkhe-Javakheti and a part of historical Georgia: Artaani, Kola, Oltisi, Panaki, Potskhovi and Chrdilo).

The goal of the study is to give a retrospective picture according to “The Great Register of Gurjistan Governorate” (1595) drafted by the government of the Ottoman Empire for fiscal purposes. The study is based on the statistical analysis of the given Register, data classification, development of GIS database and series of thematic maps and identification of the peculiarities of the territorial distribution of vine. The retrospective picture was possible to create based on two key aspects given in the Register: 1) data about the vine growing in different settled areas, and 2) amount of tax charged for syrup (sweet juice, predominantly of grape).

Based on the Register analysis, it was established that vine was one of the widely spread cultures in Gurjistan Governorate. Consequently, we can talk about widely spread wine-making and vine-growing in the given region on the one hand and about the Christian population living there on the other hand (despite the supremacy of the Ottomans in the region). Most vineyards were found in Akhaltsikhe Sancak (with over 100 vineyard areas), as well as Cildir and other Sancaks. Particularly interesting is the growing of vine in Javakheti and other locations of historical Georgia, where people do not grow this agriculture presently, predominantly as a result of the known historical processes and natural environment.